# ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის შერჩეულ განჩინებათა და გადაწყვეტილებათა კრებული

საქართველოს უზენაესი სასამართლო

ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი

2010

# SELECTION OF JUDGEMENTS AND DECISIONS

# DELIVERED BY THE

# EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS IN

# 2009

**The Supreme Court Of Georgia**

**Human Rights Centre**

**Tbilisi**

**2010**

კრებული შეადგინა და დაამუშავა

**ზაზა ბზიშვილმა**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ადამიანის უფლებათა ცენტრი

სტილისტი

**თინათინ ქოქრაშვილი**

დიზაინი

**მარიკა მაღალაშვილი**

საქართველოს უზენაესი სასამართლო

THE SUPREME COURT OF GEORGIA

The Collection was compiled and elaborated in the
Human Rights Centre of the Supreme Court of Georgia by

**Zaza Bzishvili**

Style Editor

**Tinatin Kokrashvili**

Designed by

**Marika Maghalashvili**

# წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებული წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ ტრადიციად ქცეულ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა და გადაწყვეტილებათა მოკლე მიმოხილვის სახით კიდევ ერთ გამოცემას.

კრებულში 2009 წლის სასამართლოს მიერ განმავლობაში განხილული საქმეებიდან რეზიუმეს სახით წარმოდგენილია შერჩეული პრეცედენტები კონვენციის მუხლების ქრონოლოგიის შესაბამისად.

კრებულში თავმოყრილი საქმეები, მათ შორის, კონვენციის 43-ე მუხლის შესაბამისად – დიდი პალატის მიერ განსახილველი საქმეები, დასათაურებულია და ერთვის განაცხადის ნომერი, რაც შესაძლებელს ხდის შესაბამისი საქმის ადვილად მოძიებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ვებ-გვერდზე არსებულ საძიებო სისტემაში. სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, საქმე ზოგ შემთხვევაში სხვადასხვა საკვანძო დასახელებით არის წარმოდგენილი. იმ საქმეებზე, სადაც გადაწყვეტილება არ არის საბოლოო და არსებობს დიდი პალატისათვის მისი გადაცემის მოთხოვნა, განჩინებათა შედეგი პირობითია.

კრებული მკითხველს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გარემოებანი მიიჩნია ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დებულებათა დარღვევად და რა გარემოებანი – კონვენციის დებულებათა შესაბამისად. ჩგარდა ამისა, კრებულში შეტანილია საქმეები ისეთ საკითხებთან მიმართებით როგორიცაა სასამართლოს იურისდიქცია, პროცედურული უფლებები, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, სამართლიანი დაკმაყოფილება, გადაწყვეტილებათა აღსრულება და სხვა.

ყველა განხილული განჩინებისა თუ გადაწყვეტილების სრული ტექსტი შესაძლებელია მოძიებულ იქნეს ადამიანის უფლებათა სასამართლოს საძიებო სისტემაში.

# PREFACE

The present collection is the latest instalment in an annual series prepared by the Human Rights Centre of the Supreme Court of Georgian. It consists of short reviews of selected judgements and decisions from the European Court of Human Rights

The case laws discussed in this collection are from cases heard by the court in 2009. Summaries of these cases are presented in chronological order, following the Articles of the Convention on Human Rights.

The cases (including non-final judgments, see Article 43 of the Convention) are listed with their name and application number. The two- or three-digit number at the end of each reference line indicates the issue of the Case-Law Information note where the judgment was summarized. Depending on the Court's findings, a case may appear under several keywords. Where a Chamber judgment is not final or a request for referral to the Grand Chamber is pending, the decision to publish the Chamber judgment is provisional. All judgments and admissibility decisions (other than those taken by committees) are available in full text in HUDOC.

The collection provides readers with an overview of cases determined by the court to be in violation of both The Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and otherwise. In addition, it gives an overview of cases regarding jurisdiction, procedural rights, civil and political rights, just satisfaction, execution of judgments, and other matters.

# განჩინებები

## მუხლი პირველი

### სახელმწიფოს ვალდებულება

პირის დაკავება მესამე მხარედ ცნობილ სახელმწიფოში მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გაცემული ხარვეზიანი დაკავების ორდერის საფუძველზე: *მოპასუხე სახელმწიფოს დაეკისრა პასუხისმგებლობა.*

***სტეფენსი მალტის წინააღმდეგ***
***Stephens v. Malta (no. 1)*, no. 11956/07, no. 118**

## მუხლი 2

*მე-2 მუხლის პირველი ნაწილი*

### სიცოცხლე

სახელმწიფოს დაევალა, წარმოედგინა დასაბუთებული განმარტება კაპრალის მკვლელობასთან დაკავშირებით, რომელიც ჩადენილ იქნა გასამხედროებულ ტერიტორიაზე: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ბეკერი თურქეთის წინააღმდეგ***
***Beker v. Turkey*, no. 27866/03, no. 117**

გამოსაფხიზლებელში უმეთვალყურეოდ დატოვებული დემობილიზებული პირის სპეციალური ქამრების გამოყენებით გამოწვეული ასფიქციით დაღუპვა და ამ ფაქტზე არაეფექტური გამოძიების წარმოება: *მიჩნეულ იქნა დარღვევებად.*

***მოისიევი პოლონეთის წინააღმდეგ***
***Mojsiejew v. Poland*, no. 11818/02, no. 117**

ხანგრძლივი დროით მოშიმშილე პატიმრის სიკვდილი: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

***ჰოროზი თურქეთის წინააღმდეგ***
***Horoz v. Turkey*, no. 1639/03, no. 117**

აპლიკანტის დედისათვის სხეულის დაზიანების მიყენება, რომელმაც გამოიწვია ფატალური შედეგი ოჯახური ძალადობის იმ საქმეზე, რომელზეც სამართალდამცავებისათვის ადრეც იყო ცნობილი მოძალადის დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ***
***Opuz v. Turkey*, no. 33401/02, no. 120**

დიდი რვიანის სამიტის დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ჩატარებული ოპერაციების შედეგად გამოწვეული დემონსტრანტის სიკვდილი: არ *იქნა მიჩნეული დარღვევად (საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას).*

***გიულიანი და გაგიო იტალიის წინააღმდეგ***
***Giuliani and Gaggio v. Italy*, no. 23458/02, no. 122**

გარდაცვლილის ოჯახმა მკვლელობის ორგანიზებაში დაადანაშაულა მთავარი პროკურორი, მის მიერ მკვლელობის საქმის გამოუძიებლობისა და მასზე ზედამხედველობის განუხორციელებლობის გამო: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***კოლევი ბულგარეთის წინააღმდეგ***
***Kolevi v. Bulgaria*, no. 1108/02, no. 124**

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა რკინიგზაზე მომხდარი შემთხვევის გამო და არაეფექტური გამოძიების წარმოება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***კალენდერი თურქეთის წინააღმდეგ***
***Kalender v. Turkey*, no. 4314/02, no. 125**

გამოძიების ეფექტურობა იმ მკვლელობის საქმეებზე, რომლებშიც პოლიციის თანამშრომლები იყვნენ გარეულნი: *მიჩნეულ იქნა დარღვევებად.*

***ვალცეა და მაზერე რუმინეთის წინააღმდეგ***
***Velcea and Mazgre v. Romania*, no. 64301/01, no. 125**

პროკურატურისა და სასამართლოს პასუხისმგებლობა საშიში დამნაშავის დროებითი გათავისუფლებისათვის, რა დროსაც მან სიცოცხლე მოუსპო ორ ადამიანს: *მიჩნეულ იქნა დარღვევებად.*

***მაიორანო და სხვები იტალიის წინააღმდეგ***
***Maiorano and Others v. Italy*, no. 28634/06, no. 125**

## პოზიტიური ვალდებულებები

### ეფექტური გამოძიება

აპლიკანტის ოჯახის წევრთა სიცოცხლის დაცვის მიზნით იმ პირის წინააღმდეგ სათანადო ზომების გაუტარებლობა, რომელიც მანამდე გასამართლებული იყო მათ მიმართ გამოთქმული მუქარისათვის: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ბრანკო ტომასიკი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ***
***Branko Tomaљiж and Others v. Croatia*, no. 46598/06, no. 115**

აპლიკანტის მეუღლის გაუჩინარება, რაც გამოიწვია შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებამ და რითაც იგი ხელში ჩაუვარდა მის გამტაცებლებს: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***მედოვა რუსეთის წინააღმდეგ***
***Medova v. Russia*, no. 25385/04, no. 115**

ექიმების სავარაუდო დაუდევრობის შედეგად გარდაცვლილი პირის შესახებ სისხლისა და სამოქალაქო საქმეთა გაჭიანურებული გადადება და მოსამართლეთა ხშირი ცვლა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***სილიჰი სლოვენიის წინააღმდეგ***
***Љilih v. Slovenia*, no. 71463/01, no. 11**

აპლიკანტის დედისათვის სხეულის დაზიანების მიყენება, რომელმაც გამოიწვია ფატალური შედეგი ოჯახური ძალადობის იმ საქმეზე, რომელზეც სამართალდამცავებისათვის ცნობილი იყო მოძალადის დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ***
***Opuz v. Turkey*, no. 33401/02, no. 120**

გამოძიების არაეფექტურად წარმართვა თურქეთის მიერ ჩრდილო კვიპროსში წარმოებული სამხედრო მოქმედებების შედეგად კვიპროსელი ბერძნების გაუჩინარების ფაქტზე: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ვარნავა და სხვები თურქეთის წინააღმდეგ***
***Varnava and Others v. Turkey*, nos. 16064/90 et al., no. 122**

დიდი რვიანის სამიტის დროს უშიშროების სამსახურის თანამშრომლის მიერ დემონსტრანტების ჯგუფზე შეტევისას ერთ-ერთი დემონსტრანტისათვის სასიკვდილო ჭრილობის მიყენების ფაქტზე გამოძიების წარუმართველობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად (საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას).*

***გიულიანი და გაგიო იტალიის წინააღმდეგ***
***Giuliani and Gaggio v. Italy*, no. 23458/02, no. 122**

1989 წელს ანტიკომუნისტური დემონსტრაციებისას მოკლული ოფიცრის საქმეზე არაადეკვატური გამოძიების ჩატარება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***აგაჩე და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ***
***Agache and Others v. Romania*, no. 2712/02, no. 123**

გარდაცვლილის ოჯახმა მკვლელობის ორგანიზებაში დაადანაშაულა მთავარი პროკურორი, მის მიერ მკვლელობის საქმის გამოუძიებლობისა და მასზე ზედამხედველობის განუხორციელებლობის გამო: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***კოლევი ბულგარეთის წინააღმდეგ***
***Kolevi v. Bulgaria*, no. 1108/02, no. 124**

სახელმწიფოს ვალდებულება რკინიგზაზე მომხდარი შემთხვევის შედეგად დაღუპულ პირთა საქმესთან დაკავშირებით და აღნიშნულ ფაქტზე არაეფექტური გამოძიების წარმოება: *მიჩნეულ იქნა დარღვევებად.*

***კალენდერი თურქეთის წინააღმდეგ***
***Kalender v. Turkey*, no. 4314/02, no. 125**

პირის თვითმკვლელობა უფლებამოსილი ორგანოების მიერ მისი გამოსახლების დროს: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

უფლებამოსილი ორგანოების მიერ პირის გამოსახლებისას ჩადენილი თვითმკვლელობის საქმეზე სათანადო გამოძიების ჩაუტარებლობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***მიკაილ მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ***
***Mikayil Mammadov v. Azerbaijan*, no. 4762/05, no. 125**

გამოძიების ეფექტურობა პოლიციის მონაწილეობით ჩადენილ მკვლელობათა საქმეებზე: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ვალსეა და მაზერე რუმინეთის წინააღმდეგ***
***Velcea and Mazgre v. Romania*, no. 64301/01, no. 125**

სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების პასუხისმგებლობა მძიმე დამნაშავის განთავისუფლების შემდეგ მის მიერ იმავე დღეს ჩადენილი ორი მკვლელობისათვის: *მიჩნეულ იქნა დარღვევებად.*

***მაიორანო და სხვები იტალიის წინააღმდეგ***
***Maiorano and Others v. Italy*, no. 28634/06, no. 125**

რუმინეთში არსებული რეჟიმის დამხობამდე, 1989 წლის დეკემბერში კომუნისტური რეჟიმის მოწინააღმდეგე დემონსტრანტების დარბევის ფაქტზე გამოძიების გაჭიანურება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***სანდრუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ***
***Єandru and Others v. Romania, no. 22465/03, no. 125***

*მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი*

**ძალის გამოყენება**

დიდი რვიანის სამიტის დროს უსაფრთხოების ძალების მიერ დემონსტრანტის მიმართ განხორციელებული ფატალური გასროლა: არ *იქნა მიჩნეული დარღვევად.*

***გიულიანი და გაგიო იტალიის წინააღმდეგ***
***Giuliani and Gaggio v. Italy*, no. 23458/02, no. 122**

**მუხლი 3**

**არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა ან დასჯა**

აპლიკანტი გინეკოლოგიური შემოწმების მიზნით უშიშროების სამმა თანამშრომელმა იძულებით წაიყვანა და შებოჭა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ფილიზ უიანი თურქეთის წინააღმდეგ.***
***Filiz Uyan v. Turkey*, no. 7496/03, no. 115**

სრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არასრულწლოვნის დროებითი დაკავება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***გუვეჩი თურქეთის წინააღმდეგ.***
***Gьveз v. Turkey*, no. 70337/01, no. 115**

ფსიქიკურად მძიმედ დაავადებულ, წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირისათვის გაწეული არასათანადო სამედიცინო დახმარება და პატიმრობის პირობები: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***სტავომირ მუსიატი პოლონეთის წინააღმდეგ.***
***Siawomir Musiai v. Poland*, no. 28300/06, no. 115**

წინასწარი პატიმრობა არასამართლიან და დამამცირებელ პირობებში: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ.***
***Ramishvili and Kokhreidze v. Georgia*, no. 1704/06, no. 115**

მშვიდობიანი დემონსტრაციის დაშლის მიზნით პოლიციის მიერ გადამეტებული ძალის გამოყენება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***სამუთ კარაბულუთი თურქეთის წინააღმდეგ.***
***Samьt Karabulut v. Turkey*, no. 16999/04, no. 115**

ეპილეფსიით მძიმედ დაავადებული პატიმრისათვის არასათანადო სამედიცინო დახმარების გაწევა, რის გამოც იგი იძულებული იყო, მინდობოდა თანამოსაკნეთა პირველად დახმარებას: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***კაპრიკოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ.***
***Kaprykowski v. Poland*, no. 23052/05, no. 116**

პოლიციელთა სისასტიკე და არაეფექტური გამოძიების წარმოება წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით: *მიჩნეულ იქნა დარღვევებად.*

***ტომა რუმინეთის წინააღმდეგ.***
***Toma v. Romania*, no. 42716/02, no. 116**

ტერორიზმში შემჩნეულ უცხოელ მოქალაქეთა განუსაზღვრელი ვადით დაკავება: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

***ა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.***
***A. and Others v. the United Kingdom*, no. 3455/05, no. 116**

გამოსაფხიზლებელი ცენტრის თანამშრომელი მამაკაცების მიერ აპლიკანტი ქალბატონის გაშიშვლებისა და სპეციალური ქამრების მეშვეობით 10 საათის განმავლობაში დაკავების ფაქტზე არაეფექტური გამოძიების წარმოება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ა ვიკტორკო პოლონეთის წინააღმდეგ.***
***A Wiktorko v. Poland*, no. 14612/02, no. 117**

ხელისუფლების ორგანოების უუნარობა, მიეღოთ შესაბამისი ზომები აპლიკანტისა და მისი ოჯახის წევრების ოჯახური ძალადობისაგან დასაცავად: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ***
***Opuz v. Turkey*, no. 33401/02, no. 120**

თავშესაფრის მაძიებელი პირის დაკავებისას არსებული პირობები: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ს.დ. საბერძნეთის წინააღმდეგ***
***S.D. v. Greece*, no. 53541/07, no. 120**

პატიმრის ხშირი გადაყვანა, მოთავსება ერთადგილიან საკანში და ჩხრეკა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ხიდერი საფრანგეთის წინააღმდეგ***
***Khider v. France*, no. 39364/05, no. 121**

მკაცრი რეჟიმის პირობებში მოთავსებული სუსტი ჯანმრთელობის მქონე პატიმრისათვის არასათანადო სამედიცინო მკურნალობის ჩატარება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***გრორი ალბანეთის წინააღმდეგ***
***Grori v. Albania*, no. 25336/04, no. 121**

საპატიმრო ადგილებში სავარაუდოდ გადატვირთული საკნები და არასაკმარისი „პირადი სივრცე“: *მიჩნეულ იქნა დარღვევად/ არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

***სულეიმანოვიჩი იტალიის წინააღმდეგ***
***Sulejmanovic v. Italy*, no. 22635/03, no. 121**

აპლიკანტის გახანგრძლივებულ პატიმრობაში ყოფნისას არსებული პირობების შესაბამისობა მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან: არ *იქნა მიჩნეული დარღვევად.*

***პრენციპე მონაკოს წინააღმდეგ***
***Prencipe v. Monaco*, no. 43376/06, no. 121**

ხელისუფლების წარმომადგენელთა უმოქმედობა რეალური პრობლემების არსებობისას ჩრდილოეთ კვიპროსში თურქეთის მიერ 1974 წელს წარმოებული საბრძოლო მოქმედებების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული კვიპროსელი ბერძნების გაუჩინარების საქმეებთან დაკავშირებით: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ვარნავა და სხვები თურქეთის წინააღმდეგ***
***Varnava and Others v. Turkey, nos. 16064/90, 16065/90, 16066/90, 16068/90, 16069/90, 16070/90, 16071/90, 16072/90 and 16073/90, nos. 104 and 110***

გადატვირთული საკნები ციხეში: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ორჩოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ***
***Orchowski v. Poland*, no. 17885/04, no. 123**

პოლიციაში პატიმრობისას არაადამიანური მოპყრობა და ხელისუფლების ორგანოების არაეფექტური საპასუხო ქმედება აღნიშნულთან მიმართებით: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***იუსუფ გესერი თურქეთის წინააღმდეგ***
***Yusuf Geser v. Turkey*, no. 21790/04, no. 125**

პოლიციის ოფიცრებმა და საავადმყოფოს ექიმებმა ვერ უზრუნველყვეს სათანადო დახმარებით თავდასხმის შედეგად უგონო მდგომარეობაში მყოფი დაზარალებული და მითითებული ფაქტი სათანადოდ არ იქნა გამოძიებული: *მიჩნეულ იქნა დარღვევებად.*

***დენის ვასილიევი რუსეთის წინააღმდეგ***
***Denis Vasilyev v. Russia*, no. 32704/04, no. 125**

## პოზიტიური ვალდებულებები

### ეფექტური გამოძიება

პოლიციელთა სისასტიკის შედეგად პირისათვის მიყენებული ზიანის არასათანადოდ შეფასება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ირიბარენ პინილოსი ესპანეთის წინააღმდეგ***
***Iribarren Pinillos v. Spain*, no. 36777/03, no. 115**

პოლიციელთა სისასტიკე და საქმის არასათანადოდ გამოძიება: *მიჩნეულ იქნა დარღვევებად.*

***ტომა რუმინეთის წინააღმდეგ***
***Toma v. Romania*, no. 42716/02, no. 116**

ცეხეებში სამედიცინო დახმარების სტრუქტურული არაადეკვატურობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ***
***Ghavtadze v. Georgia*, no. 23204/07, no. 117**

ხელისუფლების ორგანოების უუნარობა, მიეღოთ შესაბამისი ზომები აპლიკანტისა და მისი ოჯახის წევრების ოჯახური ძალადობისაგან დასაცავად: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ***
***Opuz v. Turkey*, no. 33401/02, no. 120**

ხელისუფლების ორგანოების უმოქმედობა, რის გამოც აპლიკანტზე თავდამსხმელთა წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე ხანდაზმულობის ვადები იქნა გაშვებული: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ბეგანოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ***
***Beganoviæ v. Croatia*, no. 46423/06, no. 120**

ოჯახური ძალადობისაგან სათანადოდ დაცვის შეუძლებლობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ე.ს. და სხვები სლოვაკეთის წინააღმდეგ***
***E.S. and Others v. Slovakia*, no. 8227/04, no. 122**

პოლიციაში პატიმრობისას არაადამიანური მოპყრობა და ხელისუფლების ორგანოების არაეფექტური საპასუხო ქმედება აღნიშნულთან მიმართებით: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***იუსუფ გესერი თურქეთის წინააღმდეგ***
***Yusuf Geser v. Turkey*, no. 21790/04, no. 125**

პოლიციის ოფიცრებმა და საავადმყოფოს ექიმებმა ვერ უზრუნველყვეს სათანადო დახმარებით თავდასხმის შედეგად უგონო მდგომარეობაში მყოფი დაზარალებული და აღნიშნული ფაქტი სათანადოდ არ იქნა გამოძიებული: *მიჩნეულ იქნა დარღვევებად.*

***დენის ვასილიევი რუსეთის წინააღმდეგ***
***Denis Vasilyev v. Russia*, no. 32704/04, no. 125**

**განდევნა (დეპორტაცია)**

არაადამიანური მოპყრობის საშიშროება ტერორიზმში მსჯავრდებული პირის ტუნისში დეპორტაციის შემთხვევაში, რომელიც დაუსწრებლად გაასამართლეს: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ბენ ხემაისი იტალიის წინააღმდეგ***
***Ben Khemais v. Italy*, no. 246/07, no. 116**

არაადამიანური მოპყრობის საშიშროება ირანში ან ერაყში დეპორტაციის შემთხვევაში: *დეპორტაცია მიჩნეულ იქნებოდა დარღვევად.*

***აბდოლხანი და კარიმნია თურქეთის წინააღმდეგ***
***Abdolkhani and Karimnia v. Turkey*, no. 30471/08, no. 122**

საფრანგეთში ტერორიზმისათვის გასამართლებული პირის ალჟირში დეპორტაცია: *დეპორტაცია მიჩნეულ იქნებოდა დარღვევად.*

***დაოუდი საფრანგეთის წინააღმდეგ***
***Daoudi v. France*, no. 19576/08, no. 125**

## მუხლი 5

*მე-5 მუხლის პირველი ნაწილი*

**პირის თავისუფლება**

არაეფექტური გამოძიების წარმოება იმ დაუსაბუთებელ ბრალდებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება უგზო-უკვლოდ დაკარგული კვიპროსელი ბერძნების გაუჩინარების ფაქტს, ვინც შესაძლებელი იყო, დაეკავებინა თურქეთის მხარეს 1974 წელს მათ მიერ ჩრდილო კვიპროსში წარმოებული სამხედრო მოქმედებების დროს: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ვარნავა და სხვები თურქეთის წინააღმდეგ***
***Varnava and Others v. Turkey*, nos. 16064/90 et al., no. 122**

## თავისუფლების აღკვეთა

აპლიკანტის წინააღმდეგ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება იმ ვადაზე მეტი ხნით, ვიდრე ეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებით იყო გათვალისწინებული: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***მ. გერმანიის წინააღმდეგ***
***M. v. Germany*, no. 19359/04, no. 111**

## კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება

მოწმის დაპატიმრება მის ძებნილ ძმაზე ზეწოლის მიზნით და არასაკმარისი საფუძველი წინასწარი პატიმრობის გამოყენებისათვის: *მიჩნეულ იქნა დარღვევებად.*

***გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ***
***Giorgi Nikolaishvili v. Georgia*, no. 37048/04, no. 115**

დეპორტაციის მიზნით დაკავებისას აპლიკანტის თავშესაფრის მაძიებლის სტატუსის გაუთვალისწინებლობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ს.დ. საბერძნეთის წინააღმდეგ***
***S.D. v. Greece*, no. 53541/07, no. 120**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც პატიმრობის შესახებ უკანონო ბრძანება არ გაუქმდა და საქმე გადაიგზავნა სასამართლოში განსახილველად: არ იქნა *მიჩნეული დარღვევად.*

***მოორენი გერმანიის წინააღმდეგ***
***Mooren v. Germany, no. 11364/03, no. 108***

საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც გამომდინარეობდა იმ საერთაშორისო შეთანხმებიდან, რაც მოპასუხე სახელმწიფოში არ იყო ძალაში შესული: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***გრორი ალბანეთის წინააღმდეგ***
***Grori v. Albania*, no. 25336/04, no. 121**

პედოფილის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება, სოციალური დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე: არ *იქნა მიჩნეული დარღვევად.*

***დე შეფერი ბელგიის წინააღმდეგ***
***De Schepper v. Belgium*, no. 27428/07, no. 123**

იმუნიტეტის მქონე მაღალი რანგის ოფიციალური პირების დაკავება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***კოლევი ბულგარეთის წინააღმდეგ***
***Kolevi v. Bulgaria*, no. 1108/02, no. 124**

აპლიკანტის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება იმ ვადაზე მეტი ხნით, ვიდრე ეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებით იყო გათვალისწინებული: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***მ. გერმანიის წინააღმდეგ***
***M. v. Germany*, no. 19359/04, no. 125**

***მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „f" ქვეპუნქტი***

**ექსტრადიცია ან განდევნა**

ტერორიზმში ეჭვმიტანილი უცხოელი მოქალაქის განუსაზღვრელი ვადით დაკავება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ა. და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ***
***A. and Others v. the United Kingdom*, no. 3455/05, no. 116**

იმ უცხოელის ხანგრძლივი ვადით დაკავება (ოთხ წლამდე), რომელმაც უარი განაცხადა განდევნის შესახებ ბრძანების შესრულებაზე: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***მიკოლენკო ესტონეთის წინააღმდეგ***
***Mikolenko v. Estonia*, no. 10664/05, no. 123**

***მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი***

**დაკავებული ან დაპატიმრებული პირის ვითომდა დაუყოვნებელი წარდგენა მოსამართლის ან სხვა, კანონით უფლებამოსილი თანამდებობის პირისათვის**

არასრულწლოვანთა დაკავება ოთხი დღისა და 9 საათის განმავლობაში სასამართლოში წარდგენამდე: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***იპეკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ***
***Ipek and Others v. Turkey*, nos. 17019/02 and 30070/02, no. 116**

აპლიკანტის სასამართლოში წარდგენა მისი დაკავებიდან ოცი დღის შემდეგ: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ტომა რუმინეთის წინააღმდეგ***
***Toma v. Romania*, no. 42716/02, no. 116**

### წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა

არასრულწლოვნის დაპატიმრება მოზრდილთა დაწესებულებაში ოთხ-ნახევარი წლის განმავლობაში: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*გიუვეჩი თურქეთის წინააღმდეგ*
***Gьvез v. Turkey*, no. 70337/01, no. 115**

ეროვნულ კანონმდებლობაში იმ განსაკუთრებულ გარემოებებზე შესაბამისი მითითების არ არსებობა, თუ რა შემთხვევაში არის შესაძლებელი გამონაკლისის სახით კანონით გათვალისწინებულ ვადებზე მეტი ხნით წინასასამართლო პატიმრობის გამოყენება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*კრეჯჩირი ჩეხეთის წინააღმდეგ*
***Krejиши v. the Czech Republic*, nos. 39298/04 and 8723/05, no. 117**

წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივი ვადით გამოყენებისათვის სათანადო საფუძვლის არარსებობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*პრენციპე მონაკოს წინააღმდეგ*
***Prencipe v. Monaco*, no. 43376/06, no. 121**

### განთავისუფლება განაჩენის მოლოდინში
### სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფის საშუალებები

ზღვის დაბინძურების საქმეზე გემის კაპიტნის გირაოთი განთავისუფლებისათვის გარკვეული ოდენობის თანხის შეტანის ვალდებულება: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად (საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას).*

*მანგოურასი ესპანეთის წინააღმდეგ*
***Mangouras v. Spain*, no. 12050/04, nos. 115 and 120**

*მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი*

### საპროცესო მოქმედებების განხორციელება

მხარეს არ გადაეცა დაპატიმრების კანონიერების დამადასტურებელი საქმის მასალები, სახელმწიფო უშიშროების მიზნებიდან გამომდინარე: *მიჩნეულ იქნა დარღვევად/ არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

*ა. და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*
***A. and Others v. the United Kingdom*, no. 3455/05, no. 116**

თავშესაფრის მაძიებლისათვის, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობდა განდევნის საქმის წარმოება, დაცვის არანაირი საშუალების არარსებობა დაკავების კანონიერების შესახებ გადაწყვეტილების გადასასინჯად: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ს.დ. საბერძნეთის წინააღმდეგ***
***S.D. v. Greece*, no. 53541/07, no. 120**

დაკავების კანონიერების შესამოწმებლად საქმის მასალებზე ხელმიუწვდომლობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***მოორენი გერმანიის წინააღმდეგ***
***Mooren v. Germany*, no. 11364/03, no. 121**

## გადაწყვეტილების დაჩქარებული გადასინჯვა

წინასწარი პატიმრობის კანონიერების შემოწმების დაუსაბუთებელი და გაჭიანურებული დაყოვნება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ტომა რუმინეთის წინააღმდეგ***
***Toma v. Romania*, no. 42716/02, no. 116**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაპატიმრების შესახებ უკანონო ბრძანების გაუქმების ნაცვლად საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნდა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***მოორენი გერმანიის წინააღმდეგ***
***Mooren v. Germany*, no. 11364/03, no. 121**

## გადაწყვეტილების გადასინჯვის პროცესუალური გარანტიები

დამამცირებელ და უსამართლო პირობებში წინასწარი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერების გადასინჯვა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ***
***Ramishvili and Kokhreidze v. Georgia*, no. 1704/06, no. 115**

უზენაესმა სასამართლომ არ განიხილა საქმე, როდესაც თავისუფლების აღკვეთა არ შეესაბამებოდა კონვენციის მოთხოვნებს: *მიჩნეულ იქნა დარღვევად*

***კრეჯჩირი ჩეხეთის წინააღმდეგ***
***Krejuuu v. the Czech Republic*, nos. 39298/04 and 8723/05, no. 117**

## მუხლი 6

### *მე-6 მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება (სამოქალაქო საქმეებზე)*

მოსამართლის წინააღმდეგ აღძრული დისციპლინური საქმის წარმოება ე.წ. *Vilho Eskelinen* ტესტის გამოყენებისათვის: *მე-6 მუხლი იქნა გამოყენებული.*

***ოლუჯიჩი ხორვატიის წინააღმდეგ***
***Olujжc v. Croatia*, no. 22330/05, no. 116**

გარემოს დაცვის ადგილობრივმა ორგანიზაციამ გაასაჩივრა გადაწყვეტილება, რომელიც თვისებრივად განსხვავდებოდა *actio popularis* მოთხოვნებისაგან: *მე-6 მუხლი იქნა გამოყენებული.*

***L'Erabliure A.S.B.L ბელგიის წინააღმდეგ***
***L'Erabliure A.S.B.L. v. Belgium*, no. 49230/07, no. 116**

საკასაციო საჩივარის შეტანის თაობაზე მოთხოვნა გენერალური პროკურორისადმი: *მე-6 მუხლი იქნა გამოყენებული.*

***გოროუ საბერძნეთის წინააღმდეგ***
***Gorou v. Greece (no. 2)*, no. 12686/03, no. 117**

სასამართლოსადმი ვითომდა ხელმისაწვდომობა იმ ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით, რომლითაც შეწყდა აპლიკანტის უმუშევართა პროგრამაში მონაწილეობა: *მე-6 მუხლი იქნა გამოყენებული.*

***მენდელი შვედეთის წინააღმდეგ***
***Mendel v. Sweden*, no. 28426/06, no. 118**

ეროვნული პარლამენტის შიდა ინსტიტუტები აღჭურვილნი არიან სასამართლო უფლებამოსილებით მისი აპარატის თანამშრომლების მიმართ: *მე-6 მუხლი იქნა გამოყენებული.*

***სავინო და სხვები იტალიის წინააღმდეგ***
***Savino and Others v. Italy*, nos. 17214/05, 20329/05 and 42113/04, no. 118**

იძულების ღინისძიებათა პროცედურა: *მე-6 მუხლი იქნა გამოყენებული.*

***მიკალეფი მალტის წინააღმდეგ***
***Micallef v. Malta*, no. 17056/06, no. 123**

## სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა

პარლამენტის წევრისათვის იმუნიტეტის მინიჭება, მის მიერ პრესისათვის მიცემული განცხადებებისათვის, რომლებიც მან არასამსახურებრივი მიზნებიდან გამომდინარე გააკეთა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***C.G.I.L. და კოფერატი იტალიის წინააღმდეგ***
***C.G.I.L. and Cofferati v. Italy*, no. 46967/07, no. 116**

სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობის შესახებ, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი ეყრდნობოდა სადავო გადაწყვეტილებას: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***L'Erabliure A.S.B.L ბელგიის წინააღმდეგ***
***L'Erabliure A.S.B.L. v. Belgium*, no. 49230/07, no. 116**

სასამართლოსადმი ვითომდა ხელმისაწვდომობა იმ ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის, რომლითაც შეწყდა აპლიკანტის უმუშევართა პროგრამაში მონაწილეობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***კ.ჰ. და სხვები სლოვაკიის წინააღმდეგ***
***K.H. and Others v. Slovakia*, no. 32881/04, no. 118**

აპლიკანტებს არ მიეცათ საშუალება, სათანადოდ ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი სასამართლოში, ვინაიდან ხელისუფლების წარმომადგენლებმა საქმის შედეგისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები მათთვის ხელმიუწვდომელი გახადეს: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***მენდელი შვედეთის წინააღმდეგ***
***Mendel v. Sweden*, no. 28426/06, no. 118**

სასამართლოების უარი აპლიკანტის კომპანიის მიერ ელექტრონული ვერსიით შეტანილი სარჩელის განხილვაზე: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***Lawyer Partners, a.s სლოვაკიის წინააღმდეგ***
***Lawyer Partners, a.s., v. Slovakia*, nos. 54252/07 et al., no. 120**

არასრულწლოვანთა მიმართ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გამოყენება, რის გამოც მათ არ მიეცათ თავიანთი უფლებების დაცვის საშუალება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***სტაგნო ბელგიის წინააღმდეგ***
***Stagno v. Belgium*, no. 1062/07, no. 121**

პატიმრობის უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზონაში მყოფი პირისათვის, რომელიც ცდილობდა განეხორციელებინა თავისი სამოქალაქო უფლებები, სასამართლო იყო ხელმიუწვდომელი: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ენეა იტალიის წინააღმდეგ***
***Enea v. Italy*, no. 74912/01, no. 122**

მეპაიეთა უმცირესობას არ მიეცა საშუალება, გაესაჩივრებინა უმრავლესობაში მყოფ მეპაიეთა გადაწყვეტილება კომპანიის ლიკვიდაციის შესახებ იმის გამო, რომ სასამართლომ მითითებული გადაწყვეტილება სამეწარმეო რეესტრში გაატარა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***კოჰლჰოფერი და მინარიკი ჩეხეთის წინააღმდეგ***
***Kohlhofer and Minarik v. the Czech Republic*, nos. 32921/03, 28464/04 and 5344/05, no. 123**

სასამართლომ საქმის გარემოებები სათანადოდ არ გამოიკვლია იმ საქმეზე, რომელიც შეეხებოდა მასწავლებლისათვს გაკვეთილების ჩატარებაზე უარის თქმას ერესული რელიგიური მოსაზრებების გამო: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ლომბარდი ვალაური იტალიის წინააღმდეგ***
***Lombardi Vallauri v. Italy*, no. 39128/05, no. 123**

## საქმის სამართლიანი განხილვა

ექსპერტის დაკითხვაზე უარი იმ საქმეზე, რომელიც შეეხებოდა სქესის შეცვლის ოპერაციისათვის გადასახდელი თანხის ოდენობას: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***შლუმპფი შვეიცარიის წინააღმდეგ.***
***Schlumpf v. Switzerland*, no. 29002/06, no. 115**

საკასაციო საჩივრის შეტანაზე უარი: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

***გოროუ საბერძნეთის წინააღმდეგ.***
***Gorou v. Greece (no. 2)*, no. 12686/03, no. 117**

უზენაესმა სასამართლომ კანონის ნორმები განმარტა არსებითად განსხვავებულად: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***იორდან იორდანოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ.***
***Iordan Iordanov and Others v. Bulgaria*, no. 23530/02, no. 121**

ბრალდებულის ან მისი ადვოკატისათვის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის თარიღის შეუტყობინებლობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***მაქსიმოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ.***
***Maksimov v. Azerbaijan*, no. 38228/05, no. 123**

### მხარეთა თანასწორობა

პროკურატურის სამსახურის მიერ შეტანილი სამოქალაქო სარჩელი: არ *იქნა მიჩნეული დარღვევად.*

***ბაცანინა რუსეთის წინააღმდეგ***
***Batsanina v. Russia*, no. 3932/02, no. 119**

კერძო დაწესებულებისათვის სახელმწიფოს მიერ გაწეული პრეფერენციალური მოპყრობა, რაც გამოიხატა საქმის წარმოების ვადების შემცირებაში: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***Varnima Corporation International S.A საბერძნეთის წინააღმდეგ***
***Varnima Corporation International S.A. v. Greece*, no. 48906/06, no. 119**

### საქმის საჯაროდ განხილვა

საქმის განხილვისას საჯაროობის წესების დარღვევა იმ საქმეზე, რომელიც შეეხებოდა სქესის შეცვლის ოპერაციისათვის გადასახდელი თანხის ოდენობას: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***შლუმპფი შვეიცარიის წინააღმდეგ.***
***Schlumpf v. Switzerland*, no. 29002/06, no. 115**

### საქმის ზეპირი მოსმენა

პირველი და ბოლო ინსტანციების სასამართლოებმა საქმის ზეპირ განხილვაზე უარი თქვეს: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***კოოტუმელი ავსტრიის წინააღმდეგ***
***Koottummel v. Austria*, no. 49616/06, no. 125**

### გონივრული ვადა

საქმის გაჭიანურებული განხილვის შედეგად ე.წ. „პინტოს“ კანონის შესაბამისად დაგვიანებული და არაადეკვატური კომპენსაციის მიკუთვნება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***სიმალდონე იტალიის წინააღმდეგ***
***Simaldone v. Italy*, no. 22644/03, no. 117**

საზედამხედველო წესით საქმის განმეორებით განხილვა, რამაც გამოიწვია მისი განხილვის მნიშვნელოვანი გაჭიანურება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***სვეტლანა ორლოვა რუსეთის წინააღმდეგ***
***Svetlana Orlova v. Russia*, no. 4487/04, no. 121**

**დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო**

აპლიკანტისათვის შეურაცხყოფის მიყენება პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში, რაც მოხდა საქმის განხილვამდე: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ოლუჯიჩი ხორვატიის წინააღმდეგ***
***Olujiжc v. Croatia*, no. 22330/05, no. 116**

ეროვნული პარლამენტის იმ შიდა ინსტიტუტების დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად მოქმედება, რომლებიც აღჭურვილნი არიან სასამართლო უფლებამოსილებით მისი აპარატის თანამშრომლების მიმართ: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***სავინო და სხვები იტალიის წინააღმდეგ***
***Savino and Others v. Italy*, nos. 17214/05, 20329/05 and 42113/04, no. 118**

სააპელაციო სასამართლომ არ შეაჩერა წარმოება იმ საქმეზე, რომელზეც, აცილების საფუძვლების არსებობის გამო, მოსამართლე ჩამოცილებულ იქნა საქმის განხილვას: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

***Procedo Capital Corporation ნორვეგიის წინააღმდეგ***
***Procedo Capital Corporation v. Norway*, no. 3338/05, no. 122**

კანონით გათვალისწინებული უფლების არარსებობა მოსამართლის აცილებისათვის, მისი ამავე საქმეში მონაწილე ადვოკატთან ოჯახური კავშირის გამო: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***მიკალეფი მალტის წინააღმდეგ***
***Micallef v. Malta*, no. 17056/06, no. 123**

იმ სასამართლოს მიკერძოებულად მოქმედება, რომლის თავმჯდომარესაც აპლიკანტის წინააღმდეგ შეტანილი ჰქონდა საჩივარი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

***პარლოვ-ტკალიჯიჩი ხორვატიის წინააღმდეგ***
***Parlov-Tkaluiжc v. Croatia*, no. 24810/06, no. 125**

**მე-6 მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება**
**(სისხლის სამართლის საქმეებზე)**

პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის საქმეზე პასუხისგებაში მიცემა, მისი იმუნიტეტის მიუხედავად: *მე-6 მუხლი იქნა გამოყენებული.*

***კარტი თურქეთის წინააღმდეგ***
***Kart v. Turkey*, no. 8917/05, no. 125**

**სასამართლოსადმი მიმართვის უფლება**

სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას დაშვებული უხეში დარღვევების გამო საზედამხედველო წესით საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმება: არ *იქნა მიჩნეული დარღვევად.*

***ლენსკაია რუსეთის წინააღმდეგ***
***Lenskaya v. Russia*, no. 28730/03, no. 115**

პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის საქმეზე პასუხისგებაში მიცემა, მისი იმუნიტეტის მიუხედავად: არ *იქნა მიჩნეული დარღვევად*.

***კარტი თურქეთის წინააღმდეგ***
***Kart v. Turkey*, no. 8917/05, no. 125**

**სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა**

უცხოური ასოციაციის დავალდებულება, სათავო ოფისის თანხმობის გარეშე პრეფექტურაში გაეკეთებინა განცხადება საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილეობის თაობაზე: *მიჩნეულ იქნა* დარღვევად.

***ისლამური მსოფლიო ლიგა და ისლამური დახმარების მსოფლიო ორგანიზაცია საფრანგეთის წინააღმდეგ***
***Ligue du monde islamique and Organisation islamique mondiale du secours islamique v. France*, no. 36497/05, no. 115**

სასამართლომ ბრალდებულს არ შეატყობინა ცვლილება საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაში, მას შემდეგ, რაც მის დაცვაზე უარი განაცხადეს იურიდიული დახმარების იურისტებმა: *მიჩნეულ იქნა* დარღვევად.

***კულიკოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ***
***ანტონიჩელი პოლონეთის წინააღმდეგ***
***Kulikowski v. Poland*, no. 18353/03, no. 119**
***Antonicelli v. Poland*, no. 2815/05, no. 119**

სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა, სასამართლოს გადაწყვეტილების მომლოდნე პირის საქმის განუხილველობის გამო: არ *იქნა მიჩნეული დარღვევად.*

***დავრანი თურქეთის წინააღმდეგ***
***Davran v. Turkey*, no. 18342/03, no. 124**

## საქმის სამართლიანი განხილვა

ასიზების (მსაჯულების) სასამართლოს გადაწყვეტილება განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ დაუსაბუთებელი იყო: *მიჩნეულ იქნა დარღვევად (საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას).*

***თექსეთი ბელგიის წინააღმდეგ***
***Taxquet v. Belgium*, no. 926/05, nos. 115 and 120**

არასრულწლოვანი ბრალდებული ვერ იქნა სასამართლოში სათანადოდ წარმოდგენილი და არ მიეცა მის მიმართ განსახილველ საქმეზე ეფექტური მონაწილეობის საშუალება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***გუვეჩი თურქეთის წინააღმდეგ***
***Gьvez v. Turkey*, no. 70337/01, no. 115**

სასამართლომ გამოიყენა საიდუმლო ოპერაციების შედეგად მიღებული მტკიცებულებები: არ *იქნა მიჩნეული დარღვევად.*

***ბუკოვი რუსეთის წინააღმდეგ***
***Bykov v. Russia*, no. 4378/02, no. 117**

სასამართლომ საქმის არსებითად განხილვისას დაარღვია საჯაროობის წესები: არ *იქნა მიჩნეული დარღვევად.*

***იგუალ კოლი ესპანეთის წინააღმდეგ***
***Igual Coll v. Spain*, no. 37496/04, no. 117**

პოლიციის მიერ განხორციელებული უკანონო ოპერაციისას ამოღებული მტკიცებულების საფუძველზე პირის პასუხისგებაში მიცემა: არ *იქნა მიჩნეული დარღვევად.*

***ლი დავისი ბელგიის წინააღმდეგ***
***Lee Davies v. Belgium*, no. 18704/05, no. 121**

საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც აპლიკანტს წაერთვა მნიშვნელოვანი უპირატესობა, რაც საქმის გამარტივებული წესით განხილვისას ჰქონდა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ***
***Scoppola v. Italy (no. 2)*, no. 10249/03, no. 122**

გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის შესახებ, რომელიც მიიღო სასამართლომ პირის ან მისი ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***კარი-პეკა პიეტილანენი ფინეთის წინააღმდეგ***
***Kari-Pekka Pietildinen v. Finland*, no. 13566/06, no. 122**

იძულებით მიღებული აღიარებითი ჩვენების საქმეზე გამოყენება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***იუსუფ გესერი თურქეთის წინააღმდეგ***
***Yusuf Geser v. Turkey*, no. 21790/04, no. 125**

**გონივრული ვადა**

პოლიციის მიერ ჩადენილი სასტიკი ქმედება და აღნიშნულისათვის პასუხისმგებელ პირთა საკითხის გადაწყვეტისას საქმის გაჭიანურებული განხილვა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ირიბარენ პინილოსი ესპანეთის წინააღმდეგ***
***Iribarren Pinillos v. Spain*, no. 36777/03, no. 115**

**დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო**

ბანკის საზედამხედველო ორგანოების საგამოძიებო, სასამართლო და ბრალდების ფუნქციებს შორის ცალსახა განსხვავების არარსებობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***დუბუს ს.ა საფრანგეთის წინააღმდეგ***
***Dubus S.A. v. France*, no. 5242/04, no. 120**

**კანონით დადგენილი ტრიბუნალი**

საკმარისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე არაპროფესიონალი მოსამართლეების სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეთა შემადგენლობაში შეყვანა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ***
***Pandjikidze and Others v. Georgia*, no. 30323/02, no. 123**

***მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი***

**დაცვის უფლება**

აპლიკანტისათვის მისი სააპელაციო საჩივრის განხილვა კანონით დადგენილი წესით არ შეუტყობინებიათ: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

***სიბგატულინი რუსეთის წინააღმდეგ***
***Sibgatullin v. Russia*, no. 32165/02, no. 118**

*მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „c“ ქვეპუნქტი*

**პირის უფლება, პირადად დაიცვას თავი**

ბრალდებულისათვის სააპელაციო სასამართლოში წასვლაზე უარის თქმა, სადაც იხილებოდა მისი ბრალდების საქმე: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

**სობოლევსკი პოლონეთის წინააღმდეგ**
***Sobolewski v. Poland (no. 2)*, no. 19847/07, no. 120**

**პირის დაცვა იურიდიული დახმარების აღმოჩენის გზით**

საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო სასამართლომ პირის ან მისი ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

**კარი-პეკა პიეტილანენი ფინეთის წინააღმდეგ**
***Kari-Pekka Pietildinen v. Finland*, no. 13566/06, no. 122**

პოლიციაში დაკავებისას ადვოკატის გარეშე პირის მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენების მტკიცებულების სახით გამოყენება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

**პიჩალნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ**
***Pishchalnikov v. Russia*, no. 7025/04, no. 122**

არასაკმარისი ურთიერთობა იურიდიული დახმარების ადვოკატთან, რომელიც სხვა ადვოკატის მიერ წარმოდგენილი პოზიციის მიხედვით იცავდა აპლიკანტს: *მიჩნეულ იქნა დარღვევად (საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას).*

**სახნოვსკი რუსეთის წინააღმდეგ**
***Sakhnovskiy v. Russia*, no. 21272/03, no. 122**

პატიმრობაში მყოფი იმ ბრალდებულისათვის ადვოკატთან შეხვედრაზე უარი, რომელიც იყენებდა დუმილის უფლებას: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

**დაიანანი თურქეთის წინააღმდეგ**
***Dayanan v. Turkey*, no. 7377/03, no. 123**

*მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „d“ ქვეპუნქტი*

**მოწმეთა დაკითხვა**

